

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ.ვანი თავისუფლების N65

10 თებერვალი 2021 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარბეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე, გია ოჩიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, პაატა ხურციძე,

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)

მოწვეული პირი: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**.

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული ისუზუს მარკის ავტობუსის „ბოგდან A-09201“ სახელმწიფო ნომრით TTC-646 ააიპ „საფეხბურთო კლუბი სულორი ვანი“ -ზე (ს/კ 229660168) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს: ზვიად კაპანაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმა

მომხს: გიგა გოგიბერიძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული ისუზუს მარკის ავტობუსის „ბოგდან A-09201“ სახელმწიფო ნომრით TTC-646 ააიპ „საფეხბურთო კლუბი სულორი ვანი“ -ზე (ს/კ 229660168) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს, ვანის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული ისუზუს მარკის ავტობუსის „ბოგდან A-09201“ სახელმწიფო ნომრით TTC-646 ააიპ „საფეხბურთო კლუბი სულორი ვანი“ - სთვის (ს/კ 229660168) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემაზე.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N2/

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გაცნო 2020 წლის სამუშაო გეგმა. **კერძოდ:**

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (თებერვალი);
2. ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (თებერვალი);
3. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების განხილვა (თებერვალი - მაისი);
4. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (მარტი-აპრილი);
5. სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიმდინარე ანგარიშის მოსმენა (ივნისი);
6. ზედამხედველობის სამსახურის მიმდინარე ანგარიშის მოსმენა. (თებერვალი, სექტემბერი);
7. ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მიმდინარე ანგარიშის მოსმენა (ივლისი);

8. 2021 წელში რგპ ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა (მარტი-სექტემბერი);
9. ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა (წლის განმავლობაში);
10. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა (წლის განმავლობაში);
11. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, სექტემბერი).

/დანართი N 3/

კომისიის წევრებმა მოიწონეს კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე